

## სომეხთა წმ. სამოციქულო

### მართმადიდებელი ეკლესია

იგი არაქალქედონური აღმოსავლური ეკლესიების ჯგუფს მიეკუთვნება. ეკლესია დაარსდა გრიგოლ განმანათლებლის მოღვაწეობის შედეგად. დაარსების თარიღად მიჩნეულია 301 წ.

დოგმატურად ეფუძნება პირველი სამი მსოფლიო საეკლესიო კრების - ნიკეის (325წ.), კონსტანტინოპოლის (381წ.), ეფესოს (431წ.) გადაწყვეტილებებს და იზიარებს კირილე ალექსანდრიელის ქრისტოლოგიას. არ თვლის თავს მონოფიზიტური აღმსარებლობის ეკლესიად.

551-554 წწ. ჩამოშორდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსა და მსოფლიო მართმადიდებულ ეკლესიას, რაც საბოლოოდ გაფორმდა 726წ. მანასკერტის კრებაზე.

დღესდღეობით სომხეთში 8 ეპარქია მოქმედებს. სრულიად სომეხთა ეკლესია ინახავს ყველა ქვეყნის სომეხთა ეროვნულ თვითიდენტიფიკაციას. რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ მას ეწოდა „სომხურ-გრიგორიანული“ ( გრიგოლ განმანათლებლის ღვაწლის გამო).

მძიმე საგარეო ურთიერთობის გამო სომეხთა სწრაფვა საქართველოსკენ თავშესაფრის სამებნელად ძალიან ადრე დაიწყო. ირანის წინააღმდეგ 451წ. სომხეთის აჯანყების დამარცხების შემდეგ მამიკონიანთა საგვარეულოს ნაწილი შეიფარა გუგარეტის(ცურტავის) პიტიახშმა არშუშამ.

მე-11-13სს. სომეხ-ქართველთა რამდენიმე ერთობრივი კრება შედგა: 1046 წ. ღრტილაში, 1197 წ. - თბილისში, 1204წ. - კვლავ თბილისში. საქართველოს ეკლესია ცდილობდა ერთიან სახელმწიფოში სომხურ ეკლესიის დოგმატურ-საწესო დაახლოებას.

ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე მეორემ ერევნიდან საქართველოში 7000 სომეხი გადმოსახლა.

1826-28წწ. რუსეთ-ირანის ომის დროს 35,000 სომეხი გადმოსახლეს ქვემო ქართლში, რუსულ-თურქეთის ომის (1828-29წწ.) შემდეგ გადმოსახლებული იქვა 90,000 სომეხი ჯავახეთში. 1655წ. თბილისში აშენდა ხოჯევანქის ეკლესია და მასთან სასაფლაო გაიხსნა, რომელიც დროთაგანმავლობაში გახდა თბილისელ სომეხთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი.

საქართველოში მოქმედებს სომეხთა ეკლესიის საქართველოს ეპარქია, საეპისკოპოსო რეზიდენციით თბილისში. მათი სრული სახელწოდებაა „სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საქართველოს სომეხთა ეპარქია“.

თბილისში მოქმედებს 5 ეკლესია, მოქმედებს აგრეთვე ახალციხეში, კახეთში.